ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

სალომე ნორაკიძე

ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტიკა

ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის ბაკალავრის ხარისხის

მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მანანა შამილიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოკვეთოს ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტიკის ძირითადი საკითხები. დაადგინოს, არის თუ არა და არსებობის შემთხვევაში, წარმოაჩინოს, რა კავშირია იმდროინდელ (მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის) სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობასა და დღევანდელობას შორის. ამასთან, კვლევის მნიშვნელოვანი ამოცანაა, შეისწავლოს ავტორისეული ენა და ის მხატვრული ხერხები, რომლებითაც გადმოცემულია ტექსტში სათქმელი და რომლებიც სძენს ერლომ ახვლედიანს ინდივიდუალურობას, რაზეც არაერთი მკვლევარი საუბრობდა და დღემდე საუბრობს.

ამ კითხვებზე საპასუხოდ, გამოვიყენეთ თვისებრივი კონტენტ-ანალიზი და ნარატიული ანალიზის ორი ტიპი: თემატური და სტრუქტურული ანალიზი. კონტენტ-ანალიზი აანალიზებს მასალის, როგორც ღია, გამოხატულ შინაარსს, ასევე, მის კონტექსტს, ფარულ შინაარსს. ნარატიული ანალიზი, ძირითადად, გამოიყენება ავტობიოგრაფიებზე, დღიურებზე, პირად წერილებზე მუშაობისას და გულისხმობს გამოკვლევას იმ ნარატივებისა და ინტერპრეტაციებისა, რაც ადამიანების პირად გამოცდილებაზე გვაძლევს ინფორმაციას. თემატური ანალიზი გულისხმობს წერილობითი, ვიზუალური ან აუდიო მასალების შინაარსის შესწავლას და პასუხობს შეკითხვას, რა არის ნათქვამი ტექსტში, ხოლო სტრუქტურული ანალიზი ყურადღებას ამახვილებს, თუ როგორ, რა ფორმით, რა ენით აყალიბებს ავტორი ამ სათქმელს. შერჩეული მეთოდოლოგიით ერლომ ახვლედიანის წერილებში გამოიკვეთა ბევრი საკითხი, რომლებიც აქტუალობას დღემდე არ კარგავს, იქნება ეს: სახელმწიფოს მშენებლობა, დემოკრატიული ტრანზიცია, პატრიოტიზმი, მოქალაქეობა, რელიგიური დისკურსი თუ დღემდე ოკუპირებული აფხაზეთი. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტიკა იმსახურებს მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას, ვინაიდან, ის პრობლემები, რომლებზეც ავტორი ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიანების მიწურულს წერდა, დღემდე აქტიურად გვახსენებს თავს.

სარჩევი

1. შესავალი 4

2. ლიტერატურის მიმოხილვა 6

3. კვლევის მეთოდოლოგია 17

4. კვლევის თეორიული ჩარჩო 19

5. კვლევის ძირითადი მიგნებები 21

საქართველო დღეს და ერლომ ახვლედიანი გუშინ 24

უნდათ თუ არა რუსებს ომი და გვინდა თუ არა ქართველებს? 24

რამდენჯერ ,,ვქმნით ახალ პარტიას“? 25

6. დასკვნა 27

ბიბლიოგრაფია 29

1. შესავალი

ქართული პუბლიცისტიკის შესწავლა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა იმდროინდელი კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური სტრუქტურების გასაცნობად. ის ნათელს ჰფენს ისტორიულ მოვლენებს, ინტელექტუალურ მოძრაობებს და გამუდმებულ ბრძოლას დამოუკიდებლობისა და ეროვნულობის შენარჩუნებისთვის. გამომდინარე აქედან, პუბლიცისტიკის როლი ქართულ საზოგადოებაში ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან, დიდი ბრძოლის ფასად, ის ზუსტად ასახავდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მით უფრო, რუსიფიკაციის პოლიტიკის პერიოდში, როცა განსაკუთრებით ირჯებოდნენ ქართველთა რუსულ კულტურაში ასიმილაციისათვის, ვგულისხმობ, მე-19, მე-20 საუკუნეს, პუბლიცისტიკა იყო ის ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) საშუალება, რომლითაც ერმა შეინარჩუნა ქართული ენა, კულტურა და ეროვნული თვითმყოფადობა. გარდა ამისა, პუბლიცისტური ნაწარმოების ქვეტექსტში ყოველთვის იკითხებოდა თავისუფლების ჟინი და პუბლიკაციის მიზანი ხშირად იყო საზოგადოების გამოფხიზლება. შემთხვევითი არ არის, რომ ილია ჭავჭავაძეს, მწერალს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს, დღემდე ვუწოდებთ ,,ერის მამას“.

საბჭოთა პერიოდში გამოცემები ექვემდებარებოდა მკაცრ ცენზურასა და იდეოლოგიურ კონტროლს, არ უნდა გაჟღერებულიყო დამოუკიდებელი და კრიტიკული ხმა, გაზეთები და ჟურნალები უნდა ყოფილიყო მხოლოდ კომუნისტური პროპაგანდისა და საბჭოთა დღის წესრიგის გავრცელების პლატფორმა. მეოცე საუკუნეში არსებობდა გამოცემები: ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,კომუნისტი“, ,,საბჭოთა საქართველო“ - რომლებიც მიჰყვებოდა პარტიულ ხაზს და ავრცელებდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას, ორიენტირებული იყო კომუნისტური პარტიის იდეოლოგიის პროპაგანდასა და რეჟიმის ,,მიღწევების“ პოპულარიზაციაზე. სწორედ ასეთ პერიოდში, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას, 1933 წელს თბილისში დაიბადა კინოდრამატურგი, მწერალი, პუბლიცისტი, ერლომ ახვლედიანი.

1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ხოლო 1964 წელს მოსკოვის უმაღლესი სასცენარო კურსები. მუშაობდა ინსპექტორად კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებაში (1959-1960წწ), უფროს

რედაქტორად საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტის მხატვრული ფილმების სტუდიაში (1967-1968წწ), იყო უფროსი რედაქტორი სატელევიზიო ფილმებისა (1979-1987წწ), ასევე, საქართველოს სახელმწიფო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში პედაგოგ-ხელმძღვანელი (1982-1987წწ; 1995-1999წწ). ის არის ავტორი 20-ამდე სცენარის, ამასთან, წიგნებისა: ,,ვანო და ნიკო", ,,კოღო ქალაქში" (ლიტერატურული პრემია ,,საბა" 2010), ,,ზარმაცი თაგუნას ამბავი". მისი ნაწარმოებები ითარგმნა და გამოქვეყნდა რუსულ, გერმანულ, უნგრულ, სომხურ, ჩეხურ და არაბულ ენებზე.[1] არის შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი და მაინც, თავს არც მწერლად თვლიდა, მით უფრო - არც პუბლიცისტად, პირიქით, მის ყველა ნაშრომში იკითხება საოცარი თავმდაბლობა და კრიტიკულობა საკუთარი თავის მიმართ. ,,არქივში ინახება ჩემი რამდენიმე, უაღრესად არასაინტერესო წერილი, იმდენად უინტერესო, რომ ზოგი მათგანი დღემდე გაუხსნელია. მე ამ აღმოჩენამ წყენის ნაცვლად ერთობ გამამხიარულა და კიდევ ერთხელ დამიდასტურა და დამარწმუნა, რომ წერილების წერა ჩემი საქმე არ არის"[2] - წერს ის თავის ერთერთ წერილში წიგნიდან ,,ძველი და ახალი".

,,ძველი და ახალი" ერლომ ახვლედიანის წერილების კრებულია, რომელშიც ავტორი იხსენებს, როგორც საბჭოთა კავშირსა და იმდროინდელ ყოფას, ასევე, წერს ახალ, დამოუკიდებელ საქართველოსა და ახლადშექმნილ გამოწვევებზე. წიგნის სათაური ნამდვილად არ არის შემთხვევით შერჩეული. მასში, ვფიქრობ, ნაგულისხმებია ბევრი დეტალი, რომლებიც მიემართება ავტორის ბუნებას, მსოფლმხედველობასა და იმ შინაარსებს, რომლებსაც ის ტექსტში ნელ-ნელა გაგვიცხადებს. პირველი, რაც, სავარაუდოდ, მკითხველს სათაურზე ახსენდება, არის ძველი და ახალი აღთქმა და ეს ფიქრი უფრო მძაფრდება კითხვისას - მართლაც, ყველა წერილს გასდევს ქრისტიანული, მართლმადიდებლური ქვეტექსტი, ვინაიდან, ავტორის ხედვა და რწმენა მთლიანად ემყარება აღნიშნულ იდეოლოგიას. ამის შემდეგ, უცილობლად ჩნდება წარსულისა და მომავლის ასოციაცია, რაც, ასევე, განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემაა წერილებში. ხედვას თუ უფრო მეტად დავავიწროვებთ, შეგვიძლია სათაურში დავინახოთ თავად ავტორიც - ძველი და ახალი ერლომ ახვლედიანი, მისი ძველი და ახალი ცხოვრება.

[1] (ბიოგრაფიული ლექსიკონი)
[2] (ახვლედიანი, 2003)

მაშასადამე, სამი სიტყვისგან შექმნილი ეს სახელდება იტევს გაცილებით მეტ სათქმელს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნე, ეს სათქმელი მოიცავს ისტორიის ორ მნიშვნელოვან ეტაპს: საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და დამოუკიდებლობის გზაზე ახლადშემდგარ, ახლადგამოღვიძებულ საქართველოს. უნდა ითქვას, რომ წერილებში წარმოჩენილი პრობლემები დღემდე აქტუალურია, ვინაიდან, ჩვენი სამშობლო ჯერ კიდევ ადგას გამოღვიძების გზას, ჯერ კიდევ ებრძვის რუსულ აგრესიასა და პროპაგანდას. ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტიკის შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის გვაჩვენებს გზებს, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული პრობლემების მოგვარება. მისი პუბლიკაციები ეხმიანება ყველა ძირითად საკითხს ეროვნული თვითშეგნების, პატრიოტიზმისა თუ სახელმწიფოს მშენებლობის შესახებ. ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს, გააანალიზოს და გამოვკვეთოთ ის გამოწვევები, რომლებიც თავმოყრილია ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტიკაში და რომელთა წინაშეც დღესაც დგას ქვეყანა და გამოსავალი, რომელსაც ავტორი ჩვეული თავმდაბლობით გვთავაზობს.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტური წერილების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია კრებულში ,,ძველი და ახალი“, რომელიც გამოსცა ,,დილის გაზეთის“ რედაქტორმა მანანა კარტოზიამ, ვინაიდან, ერლომ ახვლედიანი ხანგრძლივად და ნაყოფიერად თანამშრომლობდა აღნიშნულ გამოცემასთან. ,,ამ წიგნში ცხოვრების სიბრძნის არაერთ ფორმულას აღმოაჩენთ“[3] - ეს სიტყვები მანანა კარტოზიამ წაუმძღვარა თავის პროლოგს წიგნში ,,ძველი და ახალი“ და ეს წინათქმა თუ წინასწარმეტყველება აღმოჩნდა აბსოლუტურად ჭეშმარიტი. ერლომ ახვლედიანი აღნიშნულ კრებულში გვაცნობს თავის ხედვას ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, ბავშვის აღზრდიდან დაწყებული, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა-თვითშეგნებით დამთავრებული. იგი ეხმიანება საქართველოს საბჭოურ წარსულს, იმ დროისთვის ახლადმოპოვებულ დამოუკიდებლობასა და გამოწვევებს, რომლებიც ამ მტკივნეულმა ისტორიულმა გამოცდილებამ გააჩინა საზოგადოებაში.

[3] (ახვლედიანი, 2003)

პირველი წერილი წიგნში არის ,,სათავიდანვე", რომელშიც ავტორი წერს ბავშვის სწორი აღზრდის მნიშვნელობაზე. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ისიც უმთავრესად მიიჩნევს ბავშვის ცნობიერებაში ადრეული ასაკიდან გაღვივებას ისეთი სათნოებებისა, როგორიცაა მოყვასის სიყვარული, თანაგრძნობა, ზრუნვის სურვილი, სამართლიანობა, შრომა, თვითშემეცნება. მისი აზრით, ,,ბავშვი იმგვარად უნდა აღზარდო, რომ ეს ,,ვირის კუდივით მოკლე წუთისოფელი" არ მობეზრდეს",[4] აკეთოს საკუთარი საქმე, ვინაიდან, ,,დღეს ჩვენ ვართ და არა ვინმე სხვა, ჩვენი ქვეყნის სახლის უფალი, ხოლო საგანძური და საუნჯე არის ჩვენი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, რომელიც ისტორიის კოშმარიდან გამოვიტანეთ. რა თქმა უნდა, გამოვიტანეთ დიდი დანაკარგებით, მაგრამ მაინც ბევრი რამ დაგვრჩა ამ ნანგრევებში და ჩვენი ვალია, გონივრულად, მოთმინებითა და შრომით გამოვარჩიოთ ყველაფერი ის, რაც კეთილმა მახსოვრობამ შემოგვინახა". ამ სიტყვებში პირველად გაისმის ცნობა ჩვენი საერთო ვალის, ქვეყნისათვის შრომის შესახებ და ამის შემდეგ მთელ ნაწარმოებს გასდევს ნარატივი, თუ როგორ შეგვიძლია ვიყოთ უკეთესი მოქალაქეები, ვიყოთ ჩვენი პრინციპებისა და ეროვნული თვითმყოფადობის სადარაჯოზე.

მოქალაქეობრივ, ეროვნულ თვითშეგნებაზე წერდა ყველა დიდი ქართველი მწერალი. ერლომ ახვლედიანი თვლის, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თითოეულმა ადამიანმა გაიაზროს საკუთარი მნიშვნელობა სამყაროში, ვინაიდან, ღმერთმა სამყარო შექმნა ადამიანისთვის და ამით მას დაეკისრა ვალდებულება, რომ იზრუნოს მის გარშემო არსებულ რეალობაზე. ამის მიღწევა შესაძლებელია შრომით, თავმდაბლობითა და ურთიერთგაგებით, რაც, ავტორის თქმით, ქართულ საზოგადოებას ძალიან აკლია. ყველას მიზანია საკუთარი სიმართლისა და აზრის დამტკიცება, გამარჯვება და ამ ბრძოლაში იკარგება საერთო, ჭეშმარიტი იდეა. ,,საზოგადოების ჯანმრთელობა სრულიადაც არ ნიშნავს ერთიანი აზრის არსებობას, არამედ მოპაექრეთა სურვილს, ,,სამართალმა უსამართლობას აჯობოს... ცილობითა და ბრძოლითა გამოარჩიონ უმჯობესი აზრი",[5] ქართველები კი ერთმანეთის ჯობნას ცდილობენ და ვერც ხვდებიან ისე უვლიან გვერდს მთავარ საზრუნავს - სამშობლოს ხსნას. ამ პირადი

[4] (ახვლედიანი, 2003)
[5] (ახვლედიანი, 2003)

დაპირისპირების გამოძახილად მიიჩნევს მრავალპარტიულობასაც, რაც საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ერთგვარ ტენდენციად იქცა და დღემდე ასე გრძელდება. როგორც ერლომ ახვლედიანი წერს, მეოცე საუკუნის მიწურულს, პარტიათა რაოდენობა 80-ს აღემატებოდა და ამის გათვალისწინებით, ირონიულია, რომ დღემდე ვერ მივაღწიეთ მრავალპარტიულობასა და აზრთა სხვადასხვაობის შესაძლებლობას ხელისუფლებაში. თუმცა, საზოგადოებრივ სარბიელზე დაუსრულებლად გრძელდება დავა პარტიათა შორის, პოლარიზაცია და ახალი პარტიების ჩამოყალიბება. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში 200-ზე მეტი პარტიაა, - ,,დიდი ალბათობით, საქართველოს მოსახლეობას 10-ამდე პარტიაზე თუ ექნება გარკვეული ინფორმაცია. ეს მონაცემები აჩენს ლეგიტიმურ კითხვას, არის თუ არა საქართველო ორასი პარტიის საბრძოლო ველი და რამდენი პოლიტიკური პარტია იქნებოდა დამაკმაყოფილებელი ჩვენი საზოგადოებისთვის“.[6] ტრაგიკომიკურია ის ფაქტიც, რომ მათი საარჩევნო პროგრამები მსგავსია, თუმცა საერთო ენის გამონახვას მაინც ვერ ახერხებენ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მწერლის დაშვებას, რომ მთავარი მიზანი არის არჩევნებში გამარჯვება და ძალაუფლების მოპოვება და არა სახელმწიფო ინტერესების აღსრულება.

ასევე, საგულისხმოა ერლომ ახვლედიანის დამოკიდებულება პრინციპების ერთგულებაზე. ის ცხადყოფს, რომ პრინციპების, ღირსებების დაცვა წარმოაჩენს ჩვენს მოქალაქეობრივ თვითშეგნებას და ამასთან მიმართებით, იხსენებს ამბავს ლიტველ ბიჭზე, რომელიც, მოსკოვში, სასცენარო კურსებზე, მასთან ერთად ცხოვრობდა საერთო საცხოვრებელში. მასთან საუბარში გამოირკვა, რომ სამზარეულოსთვის არსებობდა გადასახადი, რომლის შესახებაც ერლომს არაფერი სმენოდა და შესაბამისად, არც იხდიდა. ლიტველმა კი აღნიშნა, რომ, რაც გადასახდელი იყო, აუცილებლად უნდა გადაეხადა, სხვაგვარად არ შეეძლო. ეს სიტყვები ავტორისთვის ეროვნული ღირსების დაცვას გულისხმობდა, ვინაიდან, ამ ახალგაზრდამ სწორედ ამგვარად წარმოაჩინა თავისი ერი უცხოობაში. მაშინ, როცა ქართველები ყველაფერს აკეთებდნენ გადასახადების, სავალდებულო ჯარის თავიდან ასაცილებლად, ამ ქცევამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა მის თვალში. სამწუხაროა, რომ ჩვენი კულტურული წრთობა ამ საკითხში აგვიანებს და ჯერაც ვერ ჩამოვყალიბდით საზოგადოებად, რომლის

[6] (ჩხაიძე, 2019)

წევრებიც თანაბრად დავიცავთ დადგენილ წესებს, მიუხედავად შესაძლო პრივილეგიებისა თუ თავის არიდების გზათა არსებობისა.

ავტორი იხსენებს არაერთ მოგონებას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნიდან. ბევრს წერს აფხაზეთზე დიდი სიყვარულითა და ტკივილით, ამბობს, რომ მეორედ სწორედ აფხაზეთში დაიბადა. ამ მოგონებებიდან კარგად ჩანს ისტორიის გამეორება. ვგულისხმობ ,,დაყავი და იბატონეს" პრინციპს, რომელსაც რუსეთი ხშირად იყენებდა (და დღემდე იყენებს) საქართველოს წინააღმდეგ და ამ შემთხვევაშიც, აფხაზთა და ქართველთა შორის კედელიც სწორედ ასე აღიმართა. ჩაგონება იმისა, რომ რუსეთი დაეხმარა მცირერიცხოვან ერს ქართველი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში, საბჭოთა კავშირმაც წარმატებით გააგრძელა და მეტიც, იბეჭდებოდა წიგნები, სტატიები სათაურებით ,,უნდათ კი რუსებს ომი?", ,,აფხაზეთი - ეს საქართველო არ არის", მაშინაც კი, როცა აფხაზეთიც და საქართველოც ისედაც რუსეთის შემადგენლობაში იყო. ეს, ავტორის აზრით, მხოლოდ მოძმე ერების კიდევ უფრო დაშორებას ისახავდა მიზნად; კითხვაზე კი, რომელიც დღემდე აქტუალურია და ორ ბანაკად ყოფს ხალხს (ერთნი, რომლებსაც ,,ომი არ სურთ" და მეორენი, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ისედაც აღიქვამენ ომად, მხოლოდ, ბომბებისა და ტანკების გარეშე), თავადვე გვპასუხობს: ,,არ უნდათ, ოღონდ, თუ მიზანს უომრად მიაღწევენ".[7] ამ ყველაფრის ფონზე, განსაკუთრებით ემოციურია ტიტე მამულიას, ერლომ ახვლედიანის დეიდაშვილის, პირადი ისტორიები, რომლებიც აფხაზეთის დატოვებას უკავშირდება. ასევე, მწერალი ხატავს ფანტასმაგორიულ სურათს, თუ როგორ დაეცა სოხუმი მაინცდამაინც ჯვართამაღლების დღეს და როგორ იზეიმა ეს გამარჯვება მთელმა სოხუმმა. განსაკუთრებული ამ ეპიზოდში არის ის, რომ ერლომ ახვლედიანი სრული სიცხადით აჩვენებს გამარჯვებისა და დამარცხების ხშირ უკუღმართობას, - როგორ შეიძლება გამარჯვება ერქვას ათასობით კაცის სისხლისღვრას?! ზემოთქმულის გაგრძელებად, ტექსტში, ასევე, გვხვდება აფხაზთა და ქართველთა ,,შერიგების" საკითხიც. ავტორი, იაზრებს, რომ ეს პროცესი მეტად გაჭიანურდება, ვინაიდან, იმ დაპირისპირებისათვის, რაც მოძმე ერებს შორის არსებობს, რუსეთი საუკუნეების განმავლობაში ირჯებოდა. გამოსავლად ერლომ ახვლედიანი გვისახავს

[7] (ახვლედიანი, 2003)

თვითდაკვირვების გზას, რაც ორივე მხარეს გაგვააზრებინებს წარსულსა და დაშვებულ შეცდომებს. ავტორისთვის მთავარი გამარჯვება მტრობის დასრულებაა და თუ ეს მოხდა, მაშინ საერთოდ უმნიშვნელოა, ვის ერქმევა გამარჯვებული და ვის - დამარცხებული: ,,აჰა, ქართველების ,,დამარცხებისა" და აფხაზეთის ,,გამარჯვებაზე" ვზეიმობთ საერთო გამარჯვებით ურთიერთმტრობაზე". [8]

საყურადღებოა ავტორისეული შეფასება იმპერიის დაშლის შესახებ: ,,თუ იმპერიას კრავს სოციალური ინტერესების ერთიანობა, ანგრევს ეროვნული შეუთავსებლობა".[9] საბჭოთა იდეოლოგია კი საერთოდ უარყოფდა ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა ეროვნული იდენტობა, თავისუფალი, ინდივიდუალური აზროვნების უფლება და ცდილობდა ერთ თარგზე გამოეჭრა ყველა, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა თუ ასაკისა. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირში ძირითადი ენა იყო რუსული, რაც გამოიყენებოდა ყველა სფეროში, შესაბამისად, პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე, ეთნიკურად არარუსებიც უკვე მონდომებით ცდილობდნენ, დაევიწყებინათ მშობლიური და დაუფლებოდნენ ამ ენას. ტერმინი ,,რუსკოიაზიჩნი" სწორედ ამ დროიდან მოდის და მაშინ საკმაოდ გაძნელდა რუსისა და ,,რუსკოიაზიჩნის" ერთმანეთისგან გარჩევა. ავტორის აზრით, ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც გაამძაფრა ეროვნული შეუთავსებლობა, რამაც საბოლოოდ იფეთქა იმპერიის დაშლის შედეგით. საბჭოთა კავშირს უწოდებს ,,ხალხთა საპყრობილეს", სადაც ცენზურა აკონტროლებდა ყველაფერს, რაც ხმამაღლა გაჟღერდებოდა, თუმცა არარუსი ხალხების უპირატესობადაც სწორედ იმას მიიჩნევს, რომ რუსებს არ შეეძლოთ გაეგოთ მათი დუმილი, ის, რაც მათი გულის სიღრმეში იმალებოდა - ,,რასაც ის მალავდა და რაზედაც ის დუმდა, მისი ეროვნული საიდუმლო იყო, რაც არ ითარგმნება და არც ეცდებოდა გაენდო რუსისთვის თავისი გულისნადები და ტკივილი, რადგან იცოდა, ამას ის მისსავე დასათრგუნად გამოიყენებდა".[10] მაშასადამე, ეროვნული შეგრძნებების გაღვიძებას, ცხადია, უნებლიედ, მაგრამ თავად იმპერიამ შეუწყო ხელი სწორედ ეროვნულ მახასიათებლებზე კონტროლითა და მათი გამოხატვის აკრძალვით - ,,რუსებმა ვერ გაუგეს სხვებს, ხოლო

[8] (ახვლედიანი, 2003)
[9] (ახვლედიანი, 2003)
[10] (ახვლედიანი, 2003)

სხვებმა არ ისურვეს მათთვის საიდუმლოს გამხელა, რადგან საკმაოდ კარგად გაუგეს რუსებს“.[11]

ამ ისტორიულ რაკურსებზე დაკვირვების შემდეგ საკმაოდ უცნაურია ავტორის მიერ თუნდაც მცირედი მადლიერების გამოხატვა განვლილი წარსულისა და მისი შემქმნელების მიმართ. ის წიგნის ბოლოს მოტანილ ინტერვიუში, ნინო მემანიშვილთან საუბრისას, იხსენებს საკვირაო სკოლას, რომელიც სახლში ჰქონდა გახსნილი და სადაც ბიბლიას ასწავლიდა ბავშვებს. როგორც ცნობილია, სარწმუნოების დევნა და შევიწროვება იმდროინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, ამის გათვალისწინებით, საინტერესოა, რატომ დარჩა შეუმჩნეველი აღნიშნული სკოლის არსებობა, როგორ გადაურჩა ის დარბევას. სწორედ ამ საუბარში ავტორი ამბობს: ,,მართლაც, არ დავურბევივართ. ხოლო მერე გამოირკვა, რომ მაშინდელმა ხელისუფლებამ ყველაფერი კარგად იცოდა ჩვენს შესახებ, რისთვისაც, თუმცა დაგვიანებით, მინდა მათ მადლობა მოვახსენო“.[12] როგორ უნდა ემადლიეროს ადამიანი მტერს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მას მოსვენებას უკარგავს?! რთული წარმოსადგენი და ერთი შეხედვით, ბრაზის გამომწვევია, თუმცა სწორედ ეს მადლიერებაა საგულისხმო დასტური იმისა, რომ ავტორი ცხოვრობს თავისივე შეგონებით: ,,მტერს არ დაუკარგო მცირე ღირსებაც, ხოლო მოყვარეს, თანამებრძოლს - არ დაუმალო მცირე ნაკლიც“.[13] როგორც ვაჟა-ფშაველას სიმაღლეს ვერ მისწვდა თავის დროზე ქართველი ერი და ალბათ, ვერც დღეს, სწორედ ასე სჭრის მკითხველს ყურს, თვალსა და გულს ერლომ ახვლედიანის აღნიშნული სიტყვები, თუმცა, თუ დავფიქრდებით, ეს უფრო ავტორის სიდიადეზე მეტყველებს, ვაჟასეულ სიდიადესა და ხედვაზე, რომ ადამიანის ღირსება, როგორი მცირეც არ უნდა იყოს ის, უნდა აღიარო იმის მიუხედავად, მტერია თუ მოყვარე.

ერლომ ახვლედიანი თავის წერილებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სარწმუნოების საკითხს, მეტიც, ის ოცნებობს მონარქიული მმართველობის საქართველოზე, ვინაიდან, მისი თქმით, სწორედ ეს წყობილება იმეორებს სამყაროს

[11] (ახვლედიანი, 2003)
[12] (ახვლედიანი, 2003)
[13] (ახვლედიანი, 2003)

ხელმწიფობის იდეასა და წყობილებას - სულიერ სფეროში ღვთიურ ნებას ემყარება ყველაფერი, ხოლო მიწაზე მონარქის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ წიგნში თავმოყრილი 24 წერილიდან 17 იწყება სახარებისეული ციტატით ან წმინდა მამის სიტყვებით, შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ მართლმადიდებლური მოძღვრების გავლენა იკითხება ტექსტის თითოეულ სიტყვაშიც კი. საბჭოთაკავშირგამოვლილ მწერალს კარგად ახსოვს, რომ იმ დროს მართლმადიდებლური გიმნაზიებისთვის ვერ იძებნებოდა გზები ბავშვების საშუალო სასწავლო პირობების დასაკმაყოფილებლად, რომ არაფერი ვთქვათ მთლიანად სარწმუნოების დევნაზე. ამის საპირწონედ, როგორც უკვე აღვნიშნე, დღიდან ბავშვის დაბადებისა, იგი ემხრობა ქრისტიანულ აღზრდას, რაც სიყვარულის, ზრუნვის, შრომის სწავლებას გულისხმობს. შრომა, როგორც ფიზიკური, ისე - გონებრივი, მის წერილებში პირდაპირ უკავშირდება სიკეთეს, ადამიანობას და განზოგადდება მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებამდე. აქვე უნდა ითქვას მის დამოკიდებულებაზეც ტექნოლოგიური პროგრესის შესახებ. ავტორის აზრით, ტექნოლოგიური განვითარება, რამდენადაც გამოსადეგია, იმდენადვე შეიძლება აღმოჩნდეს საზიანოც. ამის მიზეზი, პირველ რიგში, არის გათავისუფლებული დრო და შემდეგ სიზარმაცე, რაც საუკეთესო ნიადაგია ცოდვის გასახარებლად და იმ მოწყობილობათა ,,დამსახურებაა“, რომლებიც ადამიანს შრომას უმსუბუქებს. ცხადია, იგი არ საუბრობს პროგრესის სრულ უარყოფაზე, თუმცა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ბალანსის დაცვას.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რაც მთელ ტექსტში იკითხება, ზოგჯერ ძალიან ხმადაბლა, ზოგჯერ კი - მეტად ომახიანად, არის მთავარი ორიენტირის დაკარგვა. ეს მდგომარეობა გასაკვირი არცაა, ვინაიდან, ავტორი სრული სიცხადით გვიჩვენებს იმდროინდელი საზოგადოების მანკიერებებს, ,,სადაც ყველა სწორია და არავინ არ არის სწორი“,[14] მათ დაპირისპირებას არა ქვეყნის ინტერესების გამო, არამედ პირადი უპირატესობების დასამტკიცებლად. გარდა ამისა, დრომ ისედაც მოიტანა ახალი სირთულეები: სოციალური წყობის შეცვლა, რასაც მოჰყვა ძველი და ახალი მენტალიტეტის დაპირისპირება, პლურალიზმი, სარწმუნოებრივი ექსპანსიები, რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობა და სხვა. ერლომ ახვლედიანი აღნიშნავს, რომ ის

[14] (ახვლედიანი, 2003)

მოესწრო წინაპრებისთვის საოცნებო დროს, საქართველოს დამოუკიდებლობას, თუმცა აქვე გულდაწყვეტით დაურთავს, რომ მოსალოდნელი სიხარული ჯერაც არ უგრძვნია, მისი სიხარული არასრულია. კარგად ჩანს სამშობლოსთან გაუცხოების პრობლემა, თითქოს, ხალხი, რომლებსაც აქამდე იცნობდა, შეიცვალა; თითქოს, გარემომ, რომელიც აქამდე მისთვის მშობლიური იყო, ფერი იცვალა. ავტორის განსაცდელის, მისი სიტყვების უტყუარობის უკეთ აღქმას აადვილებს ისიც, რომ ყველა ამ თემაზე სასაუბროდ, გულის გადასაშლელად ის მიმართავს თავის გარდაცვლილ მეგობარს, გურამ რჩეულიშვილს. თითქოს, მას ცოცხალი არავინ ეგულება ისეთი, ვისთანაც გულწრფელად მოყვება ქვეყნისა თუ პირად ჭირ-ვარამს, სწორედ ამიტომ, წერს, ,,ვეძებ სამშობლოს!". სოციალისტური მმართველობიდან, სადაც ყვაოდა კორუფცია, სადაც ერთმანეთის მოსმენა და შემდეგ - დასმენა რიგით მოქალაქეთა დღის წესრიგშიც კი ეწერა, დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლა და თვითგამორკვევა მართლაც ურთულესი აღმოჩნდა ჩვენი სახელმწიფოსა და ხალხისთვის. მეტიც, ვფიქრობ, საქართველო ჯერ კიდევ გადის ამ მტკივნეულ გზას. ის, რაც თანამშრომლობის სურვილს უნდა გვიღვივებდეს, პირიქით, დაპირისპირების საგნად გვევლინება. მწერალი მიიჩნევს, რომ ამ გამოწვევის დასაძლევად თვითრეფლექსიის გზა არსებობს, - ,,ჩვენი საერთო ორგანიზმი, ჩვენი სამშობლო, ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა იხსნას, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში. მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი შემდგომი ნაბიჯების გადადგმა".[15] ეს საკითხი კიდევ ერთხელ ეხმიანება ზემოთქმულს, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი საქმე, რომ შრომას უმთავრესი როლი აქვს, როგორც ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ისე - სახელმწიფოს მშენებლობაში და რომ მოქალაქემ სახელმწიფო ინტერესი და ღირსება უნდა დაიცვას ქვეყნის საზღვრებს შიგნით და მის გარეთაც, თითოეული ნაბიჯით, როგორი პატარაც არ უნდა იყოს ის. ,,ყოველი ცვლილების სარგებლიანობა იზომება არა იმით, რაც იცვლება, არამედ იმით, რაც უცვლელი რჩება",[16] - წერს ერლომ ახვლედიანი და მკითხველი ხვდება, რომ ავტორისთვის ყველაზე ღირებული, სამშობლოც კი არ დარჩა უცვლელი და ეს მასში ერთიანად იწვევს შიშს, გაურკვევლობასა და სევდას. აქ უნდა გავმიჯნოთ ერთი საკითხი, მისი სევდა, ცხადია, არ

[15] (ახვლედიანი, 2003)
[16] (ახვლედიანი, 2003)

მიემართება საქართველოს გათავისუფლებას, მხოლოდ იმას, რომ ამ ცვლილების შემდეგ ქვეყანას უჭირს სწორი ორიენტირის პოვნა და ეს გზა საკმაოდ ხანგრძლივად მოჩანს. ამასთან, ავტორი თვლის, რომ ქვეყნის მომავალი აუცილებლად უნდა იყოს მისი წარსულის გაგრძელება. საქართველოსთვის კი წარსულში მთავარი ორიენტირი ყოველთვის იყო ენა, მამული და სარწმუნოება. მაშასადამე, ავტორი ამ სამ ფასეულობას მიიჩნევს სწორედ იმ ბურჯად, რომელიც საქართველოს სიმყარეს შეანარჩუნებინებს, ხოლო რომელიმე მათგანის ჩანაცვლება მისთვის საქართველოს არყოფნის ტოლფასია. აქ კი მწუხარებით აღნიშნავს, რომ საზოგადოება ენის დაცვას უკვე ნაკლებად ცდილობს, ვინაიდან, ხალხი თვლის, რომ მის სიმტკიცეს საფრთხე აღარ ემუქრება. კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ, უცხოეთთან ურთიერთობების გაღრმავებამ და სხვა პრაგმატულმა მიზეზებმა, თითქოს, ჩვენი ენის მნიშვნელობა დააკნინა. მამულის ცნებას რაც შეეხება, მწერალი გამოკვეთს მიწასთან ურთიერთობის, მასზე მუშაობის აუცილებლობას: ,,თუ მასზე არ ხარ, მიწასთან არ ურთიერთობ, ფაქტობრივად, ის შენ არ გეკუთვნის“.[17] შესაბამისად, მიიჩნევს, რომ ჩვენი სოციალური საფუძველი ყოველთვის იყო გლეხი და სწორედ გლეხს აქვს სამივე ბურჯის დაცვის პოტენციალი, ვინაიდან, ამ საქმეს განიხილავს, როგორც ეროვნული მეობის გამომხატველს. სარწმუნოებას კი, შეიძლება ითქვას, მთავარი როლი აქვს ამ სამი ფასეულობიდან და იზიარებს მოსაზრებას, რომ ისტორიული კოშმარიდან სწორედ სარწმუნოებამ გამოგვიყვანა და შეგვანარჩუნებინა ზემოთქმული საუნჯეებიდან ორი: ენა და მამული.

ერლომ ახვლედიანი ბევრს საუბრობს ორიენტაციის საკითხზე, რომელი უნდა აირჩიოს საქართველომ: დასავლური ცივილიზაცია თუ ერთმორწმუნე რუსეთი? დემოკრატია თუ მმართველობის სხვა ფორმა? თუ აქვს მას რესურსი, რომ იყოს ბოლომდე დამოუკიდებელი? აქ ავტორს შემოაქვს ვაზის შედარება. აღწერს, რომ ვაზს არ შეუძლია ფეხზე დგომა საყრდენის გარეშე, რასაც ის არ მიიჩნევს სისუსტედ და ნაკლად, ეს უბრალოდ ბუნებაა ვაზის და თუ ის უარს იტყვის ჭიგოზე, მიწაზე დაენარცხება. მწერლის აზრით, საქართველოს ბევრი აქვს სასწავლი ვაზისაგან, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მისთვის წარმოუდგენელია საქართველო ძლიერი მოკავშირის გარეშე, რომელიც მას სიმყარის შენარჩუნებაში დაეხმარება. ამას არც მალავს და თავადვე სრული სიცხადითა

[17] (ახვლედიანი, 2003)

და პირდაპირობით წერს: ,,აქვე უნდა უარვყოთ აბსურდული მცდელობა, რომ მიჩურინის ალქაჯური ხერხებით შევაჯვაროთ მუხა და ვაზი და მივიღოთ ძლიერი, ტოტებგაშლილი ხე, რომელიც რკოს მაგიერ ყურძენს მოისხამს.

ეს არ მოხდება!"[18] წიგნის ბოლოს მოტანილ ინტერვიუში კი აღნიშნავს, რომ ღიად მხარს ვერ დაუჭერს ვერც პრორუსულ და ვერც პროევროპულ ორიენტაციას, ვინაიდან, ეს საკითხი ჯერ საკუთარ თავთანაც ვერ გამოურკვევია. პოლიტიკურ დისკურსზე საუბრისას, მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმის განსაზღვრასაც, თუ ვინ ვართ: ბრბო, ხალხი თუ ერი? ამბობს, რომ ბრბოს უნდა მართავდეს ბელადი, ხალხს - პრეზიდენტი, ხოლო ერს - მეფე. ჩვენში კი ეს ცნებები ერთმანეთშია არეული და სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება სამივეს როლი მოვირგოთ. ბრბოს განმარტავს, როგორც ადამიანთა ერთობლიობას, რომლის წევრებიც განიცდიან ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნაკლებობას და მოქმედებენ ინსტინქტებით. ხალხისა და ერის განსხვავებაზე საუბრისას კი იხსენებს ზურაბ კიკნაძის შეფასებას: ,,სხვაა ერი და სხვაა ხალხი? თუ სხვადასხვაა, ერი - ,,ზეხალხური" მეტაფიზიკური რაობა იქნება, უფრო მდგრადი და ის ქმნის სულიერ კულტურას. ხალხი კი ემპირიული რაობა იქნება, ის კეთილდღეობისკენ მიისწრაფის, ყოველდღიურობით ცხოვრობს".[19] მწერლის მთავარი სურვილიც სწორედ ისაა, რომ ქართული საზოგადოება ჩამოყალიბდეს ერად, რომლისთვისაც ცხოვრების მთავარი ორიენტირი მაღალზნეობრივი ღირებულებები იქნება და არა პირადი, ამქვეყნიური და ხშირ შემთხვევაში, დროებითი კეთილდღეობა. სწორედ ამას მიემართება მისი ნატვრაც, რომ საქართველო გახდეს მონარქიული მმართველობის სახელმწიფო, ვინაიდან, როგორც უკვე ითქვა, მისი აზრით, ერს მეფე უნდა მართავდეს. ავტორი წერს, რომ რამდენი სხვადასხვა აზრიც არ უნდა არსებობდეს ერთ თემაზე, მათგან მხოლოდ ერთია ჭეშმარიტი და რამდენადაც ყველას აქვს უფლება, საკუთარი აზრი, სწორი თუ არასწორი, ხმამაღლა, თავისუფლად გამოთქვას, იმდენადვე შეიძლება დაიკარგოს საღი აზრი ამ მრავალფეროვნებაში. სწორედ ამას თვლის ერთ-ერთ უდიდეს ნაკლად დემოკრატიისა. ეს საკითხი დღევანდელ რეალობაში შეიძლება გახდეს დავის საგანი, რადგან ახალმა დრომ ახალი ხედვა, ახალი საჭიროებები მოიტანა და ჩვენი თანადროული

[18] (ახვლედიანი, 2003)
[19] (ახვლედიანი, 2003)

საზოგადოებისათვის, მათ შორის, ჩემთვისაც გაუგებარი და მიუღებელია სრული ძალაუფლების მინიჭება ერთი ადამიანისთვის, რასაც მონარქია გულისხმობს. შეიძლება, ეს იმის გამოც, რომ თანამედროვეობაში, ფაქტობრივად, არ არსებობს ერთპიროვნული მმართველი, რომელიც საკუთარ ძალაუფლებას პირადი ინტერესებისთვის არ იყენებს და მით უფრო, ქართულ რეალობაში რთული წარმოსადგენია, ვინაიდან, არ არსებობენ გამოკვეთილი ლიდერები, ე.წ. გმირები, როგორც ავტორი უწოდებს მას, ვისაც შეუძლია ბრბო ხალხად და ხალხი ერად აქციოს.

ქართულ პუბლიცისტიკას ჰყავს გამორჩეული ავტორები, რომლებმაც მათი თანადროულობისთვის (და არამხოლოდ) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სათქმელი ისეთი ოსტატობით გადმოსცეს, რომ მკითხველს დღემდე აღაფრთოვანებს. ერთ-ერთი მათგანი ნამდვილად არის ერლომ ახვლედიანი, რომლის კალმის მოსმაც განსხვავდება ყველა სხვა ავტორის კალმის მოსმისგან. ტექსტების შინაარსზე მოქმედებს ის გარემო, რომელშიც აღიზარდა მწერალი, ვინაიდან, მისი მსოფლმხედველობა სწორედ ამ გარემოდან და პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე ყალიბდება. შესაბამისად, ერლომ ახვლედიანსა და მის თანამედროვეებს (მათ პიროვნებას და შესაბამისად, მათ ლიტერატურასაც) ნამდვილად დიდი კვალი დააჩნია იმ გარემომ, რომელშიც აღიზარდნენ. საქმეს კიდევ უფრო ართულებდა ის კონტროლი, რასაც მაშინ ნებისმიერი სახის ლიტერატურა გადიოდა. ამიტომ, მათ გამოსავლის, გამოხატვის ალტერნატიული გზების ძიება დაიწყეს და მიაგნეს კიდეც - სატირას, აბსურდს, ირონიას. ჩამოთვლილ მხატვრულ საშუალებებს ერლომ ახვლედიანის ლიტერატურაში, იქნება ეს პუბლიცისტური თუ მხატვრული, არაერთგზის ვაწყდებით.[20] ,,მოდით, ვებრძოლოთ ერთმანეთს!“, ,,ვქმნით ახალ პარტიას“, ,,ერიდეთ სიკეთის ქმნას...“ - ეს წერილების სათაურებია წიგნიდან ,,ძველი და ახალი“. თითოეული მათგანი ირონიულია, ვინაიდან, ტექსტებში სათაურების საპირისპირო სათქმელია გაცხადებული. წერს დაპირისპირებულ საზოგადოებაზე და ამის უარყოფით შედეგებზე, წერს პოლარიზებისა და მრავალპარტიულობის შესახებ, რასაც უარყოფითად აფასებს და პირიქით, წერს

[20] (რატიანი)

სიკეთის უდიდეს მნიშვნელობაზე, ეს ყველაფერი კი კონტრასტს ქმნის ჩამოთვლილ სათაურებთან.

,,მისი თხრობის მანერა იმდენად უშუალო და გულწრფელია, ყოველგვარი მანერულობისაგან თავისუფალი და ლაღი, რომ ვერც კი გრძნობთ, როგორ გმოძღვრავთ და ,,გაყლაპებთ“ შეგონებას - რაღაც უაღრესად საინტერესო თემას, პოზიციას“ [21] - ამ სიტყვებით აღწერს მანანა კარტოზია ერლომ ახვლედიანის წერის სტილს კრებულის წინასიტყვაობაში. ეს შეფასება კითხვისას ნელ-ნელა უფრო და უფრო საზიარო ხდება, ვინაიდან, ავტორის ურთიერთობა მკითხველთან მართლაც უჩვეულოდ გულწრფელი და პირდაპირია. შეიძლება ეს იმანაც გამოიწვია, რომ იგი თავს არც მწერლად თვლის, არც მასწავლებლად, პირიქით, უდიდესი კრძალვით გამოხატავს თავის სათქმელს და ხშირად დაურთავს, რომ მისი სიტყვები არც აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და არც წერაა მისი საქმე. ეს თავმდაბლობაც, ცხადია, ერთი ორად ჰმატებს მას სიდიადეს.

,,ერლომ ახვლედიანი ჩემთვის ჩუმად გენიალური მწერლების კატეგორიას მიეკუთვნება, სიცოცხლეშიც რომ ჩუმები არიან და გარდაცვალების შემდეგაც. მაგრამ ეს განსაკუთრებული სიჩუმე გაგრძნობინებს, რომ სინამდვილეში რაღაც ძალიან მნიშვნელოვან ხმაურს წაუყრუე და გაიძულებს, დაძაბო მთელი სხეული, სული და ისე უსმინო ამ სიჩუმეს და აღმოაჩინო!“ [22] - მაია მენაბდეს ეს შეფასება ზუსტად შეესაბამება იმ გრძნობას, რომელიც მკითხველს ეუფლება ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტური წერილების გაცნობისას. მწერლის ოსტატობაც, ვფიქრობ, სწორედ ესაა, რამდენად ძალდაუტანებლად იღვრება მისი გონების ნაყოფი ქაღალდზე და შემდეგ, რამდენად ბუნებრივად აღძრავს ეს იდეური ნაკადები ფიქრს.

3. კვლევის მეთოდოლოგია

ჩვენი მიზანია, მოცემული კვლევით ცხადვყოთ ის ძირითადი საკითხები, რომლებიც გვხვდება ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტიკაში, დავადგინოთ, რა კავშირია იმდროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ გამოწვევებსა და დღევანდელობას

[21] (ახვლედიანი, 2003)
[22] (მენაბდე, 2019)

შორის, რა გზას ხედავს ავტორი ამ სირთულეების დასაძლევად და წარმოვაჩინოთ წერის ინდივიდუალური სტილი.

დასახული ამოცანის შესასრულებლად შევიმუშავეთ საკვლევი კითხვები:

1. ძირითადად, რა ტიპის მედია ტექსტები გვხვდება მისი ავტორობით?
2. რა არის მისი პუბლიცისტიკის მიზანდასახულობა, კონცეფცია და მთავარი სათქმელი?
3. რამდენად არის გათვალისწინებული პოლიტიკური კონტექსტი მის პუბლიკაციებში?
4. რამდენად აქტუალური და თანადროულობასთან კავშირშია ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტური ტექსტები?
5. როგორია ავტორის წერის სტილი, რომელ მხატვრულ ხერხებს იყენებს იგი სათქმელის გასაცხადებლად?

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შევარჩიეთ თვისებრივი მეთოდოლოგიის ხერხები: თვისებრივი კონტენტ-ანალიზი და ნარატიული ანალიზი, რაც, თავისმხრივ, მოიცავს თემატურსა და სტრუქტურულ ანალიზს.

პუბლიცისტიკა მოიაზრებს არამხატვრულ ლიტერატურას, რომელიც შექმნილია აქტუალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების შესახებ. ასეთი ლიტერატურის არსებობა საქართველოს ისტორიაში ყოველთვის იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, გამომდინარე იმ პრობლემებიდან, რომლებიც დამოუკიდებლობის გზაზე დაუსრულებლად იჩენდა და იჩენს თავს. ქართული პუბლიცისტიკის წარსულს თუ გადავხედავთ, საბედნიეროდ, მოვძებნით არაერთ ავტორს, რომლის შემოქმედებაც ემყარება მარადიულ ღირებულებებს და ერის თვითმყოფადობის ერთ-ერთი საუკეთესო ინდიკატორია. ასეთი ავტორები ქმნიან ტექსტებს, რომლებიც მოიცავს ეროვნულ ინტერესებსა და ისტორიას, რომელშიც აისახება ქვეყნის წარსულისა და მომავლის ანარეკლი. სწორედ ასეთი მწერალია ერლომ ახვლედიანიც, რომელმაც აღნიშნული, ,,ერლომობა“ როგორც ამას მანანა კარტოზია უწოდებს ,,ძველი და ახლის“ პროლოგში, თავადაც იტვირთა.

თვისებრივი კონტენტ-ანალიზი და ნარატიული ანალიზი ძალიან პოპულარულია სოციალურ მეცნიერებებში. კონტენტ-ანალიზი გამოიყენება შინაარსის სიღრმისეული წვდომისათვის, ის საშუალებას გვაძლევს, ვიკვლიოთ მასალის, როგორც ზედაპირული, ისე ქვეტექსტური იდეები. ნარატიული ანალიზის მიზანია, საკვლევი ტექსტების საფუძველზე მთავარი შინაარსების გამოვლენა და მათზე რეფლექსია. არსებობს ნარატიული ანალიზის რამდენიმე ტიპი, რომელთა თანადროულად გამოყენება ასახავს ნაწარმოების ქვეტექსტებისა და ფორმირების სრულ სურათს. კვლევაში გამოყენებული თემატური ანალიზი გულისხმობს ტექსტების შინაარსის წვდომას, რისი საშუალებითაც, შესაძლებელია მათში საერთო მახასიათებლების გამოკვეთა და კონცეპტუალური დაჯგუფება. სტრუქტურული ანალიზი კი კონცენტრირდება იმაზე, თუ როგორ ყვება ამბავს ავტორი, რა ფორმით გადმოსცემს ისტორიას, ყურადღებას ამახვილებს ენასა და წერის სტილზე.[23] აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებამ, ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტიკაზე მუშაობისას, საშუალება მოგვცა, გამოგვეყო ის ძირითადი თემები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით მეორდება მის წერილებში და საბოლოოდ, კრავს ეროვნული თვითგამორკვევისა და თვითგადარჩენის იდეას, რაც განსაკუთრებით ცხადად იკითხება კრებულში ,,ძველი და ახალი“. გარდა ამისა, დაგვეხმარა, შეგვესწავლა ავტორისეული წერის მანერა და ის თავისებურებები, რომლებიც მას სხვა მწერლებისგან გამოარჩევს.

4. კვლევის თეორიული ჩარჩო

ფრეიმინგის თეორია არის კომუნიკაციის თეორია, რომელიც იკვლევს, თუ როგორ არის წარმოდგენილი ესა თუ ის ინფორმაცია, რათა გავლენა მოახდინოს აღქმაზე. ის ვარაუდობს, რომ ინფორმაციის ჩამოყალიბების გზამ შეიძლება განსაზღვროს ადამიანებში ერთი საკითხის სხვადასხვა ინტერპრეტაცია და გაგება, რაც იწვევს განსხვავებულ დამოკიდებულებებს, მოსაზრებებსა და მოქმედებებს. აღნიშნული თეორია გულისხმობს საკითხის გარკვეული ასპექტების გამოკვეთას, ხოლო სხვა საკითხების მნიშვნელობის შემცირებას ან გამოტოვებას. ამ შერჩევით პრეზენტაციას შეუძლია გამოიწვიოს კონკრეტული ინტერპრეტაციები, ემოციები და განსჯა. სხვადასხვა

[23] (წულაძე, 2020)

ჩარჩო შეიძლება გამოვიყენოთ საკითხის განსხვავებული ასპექტების წარმოსაჩენად, როგორიცაა, მაგალითად, მისი სარგებელი, რისკები, შედეგები და სხვა. ფრეიმინგის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ტექნიკით, მათ შორის, სიტყვების არჩევის, გამოსახულების, მეტაფორებისა და მედია პრეზენტაციის საშუალებით. ინფორმაციის კონკრეტულ ჩარჩოში მოქცევით კომუნიკატორებს შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ და უპასუხებენ ინდივიდები შეტყობინებას.

ფრეიმინგის თეორია ხშირად გამოიყენება პუბლიკაციებში ნარატივის ჩამოსაყალიბებლად, საზოგადოების აღქმაზე გავლენის მოხდენის მიზნით. არსებობს რამდენიმე გზა ფრეიმინგის თეორიის პუბლიკაციებში გამოყენებისათვის:

1. ფრეიმინგის გამოყენება სათაურში: ეს კარგი საშუალებაა ყურადღების მიპყრობისა და ტექსტის კონკრეტული ასპექტების ხაზგასასმელად. სათაურად გარკვეული სიტყვების ან ფრაზების არჩევით, ავტორებს შეუძლიათ გამოიწვიონ კონკრეტული ემოციები მკითხველში.
2. ენა, წერის სტილი: პუბლიკაციებში გამოყენებულ ენას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მკითხველთა მიერ ინფორმაციის ინტერპრეტაციაზე. ფრეიმინგის თეორია ვარაუდობს, რომ ერთი და იგივე ინფორმაცია შეიძლება განსხვავებულად ჩამოყალიბდეს სიტყვების შერჩევით, რომლებიც გადმოსცემენ პოზიტიურ ან უარყოფით კონოტაციებს, რაც, საბოლოოდ, მოქმედებს მკითხველთა დამოკიდებულებებსა და მოსაზრებებზე.
3. ციტატების გამოყენება: ციტატების ან განცხადებების ჩართვამ სხვადასხვა წყაროდან, ასევე, შეიძლება გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს აუდიტორია სათქმელს. ციტატების გამოყენებით, რომლებიც მხარს უჭერს კონკრეტულ პერსპექტივას ან დღის წესრიგს, პუბლიკაციები მნიშვნელოვნად ფორმირდება და უკეთ წარმოაჩენს მთავარ იდეებს.
4. კონტექსტური და ქვეტექსტური ინფორმაცია: ტექსტის ფრეიმინგი შეიძლება მოხდეს გარკვეული კონტექსტური ინფორმაციის ჩართვით. ქვეტექსტური დეტალების, ისტორიული კონტექსტის ან სტატისტიკის

> მიწოდებამ შეიძლება ჩამოაყალიბოს მკითხველის სხვაგვარი აღქმა და ინტერპრეტაცია ამ საკითხის შესახებ. [24]

თუ ამ დაყოფით განვიხილავთ ერლომ ახვლედიანის წერილთა პუბლიცისტიკას, აღმოვაჩენთ, რომ ავტორი ოთხივე სტრატეგიას იყენებს შინაარსის გასაცხადებლად. სათაურები ისეა შერჩეული, რომ მკითხველს აძლევს მინიშნებას, რას შეეხება წერილი, თუმცა, ასევე, ტოვებს ბევრ შეკითხვას, რის გამოც აღიძრება ინტერესი. ენას რაც შეეხება, მწერალი გულწრფელი და პირდაპირია, ეს იგრძნობა თითოეულ სიტყვაში და ამის გამო, მისი მსოფლმხედველობა უფრო ცხადია და იძენს დამაჯერებლობას. ამასთან, წერის მანერად შეგვიძლია მივიჩნიოთ ციტატებისა და იგავების მოხმობაც. ხშირად იშველიებს სახარებისეულ სიტყვებს, ქართველ სხვა მწერალთა ფრაზებს, რაც მისი იდეოლოგიის განსაზღვრას ამარტივებს, - ის მთლიანად იზიარებს ქრისტიანულ ხედვას და აგრძელებს ისეთ დიდ მოღვაწეთა გზას, როგორიც იყო, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე (რომლის მიმართაც იგრძნობა ერლომ ახვლედიანის პატივისცემა და მოწიწება). ტექსტში მოტანილი ისტორიული ფაქტები და საკუთარ თავზე განცდილი, რეალური ამბები კი ქმნის სრულ სურათს წარსული დროისა და იმ დიდი ტკივილების, რომელთა გადატანაც საქართველოსა და ქართველ ხალხს მოუხდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფრეიმინგის თეორიის ამგვარი დახასიათება არ გულისხმობს მის მანიპულაციურ ხასიათს. ეს არის თხრობისა და კომუნიკაციის ბუნებრივი ნაწილი, ის ეხმარება ავტორს, უფრო მარტივად და მკაფიოდ მიიტანოს მთავარი სათქმელი მკითხველამდე, ხოლო ამ ტექნიკების ცოდნა ეხმარება მკითხველს პუბლიკაციებში წარმოდგენილი ინფორმაციის კრიტიკულად გაანალიზებასა და ინტერპრეტაციაში.

5. კვლევის ძირითადი მიგნებები

ჩვენ მიერ დასმულ საკვლევ შეკითხვებზე ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტიკამ ამომწურავი პასუხები გაგვცა. მრავალმხრივი ნიჭიდან გამომდინარე, ის არ წერდა მხოლოდ პუბლიცისტურ ნაშრომებს და გვევლინება, როგორც მხატვრული ლიტერატურის, ისე სცენარების ავტორად. მისმა პუბლიკაციებმა კი სრულად ასახა

[24] (Entman, 1993)

იმდროინდელი საქართველოს გამოწვევები და მანკიერებები. ამ შედეგისათვის, პირველ რიგში, პრობლემების აღქმა და გააზრებაა საჭირო, შემდეგ მათი გამომწვევი მიზეზების ძიება და ბოლოს, მოგვარების გზებზე ფიქრი. ეს ყველაფერი მან იმხელა ოსტატობით შეძლო, რომ მისმა ნაწარმოებებმა დროის სვლას გაუძლო და შეინარჩუნა აქტუალობა. რასაკვირველია, ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა, რომ ის სირთულეები, რომლებზეც ავტორი საუბრობს, დღემდე სირთულეებს არ წარმოადგენდეს საქართველოსთვის და ყველა თუ არა, მათი გარკვეული ნაწილი მაინც დაგვეძლია, მაგრამ ამის მიზეზი ისევ თავად ვართ ჩვენი მოკლე ისტორიული მეხსიერებით და ისღა დაგვრჩენია, ერლომ ახვლედიანისნაირი დიდი მოაზროვნეების ტექსტებში ვეძიოთ გამოსავალი.

მისი პუბლიცისტიკა იმდენად მრავლისმომცველია, რომ ყველა კითხვაზე შეიძლება პასუხის პოვნა: როგორ აღვზარდოთ ბავშვი, როგორ უნდა ჩამოვყალიბდეთ პასუხისმგებლიან მოქალაქეებად და საერთოდ, რას გულისხმობს მოქალაქეობა, ეროვნული იდენტობა, რა არის სამშობლო და რა ვალი გვაქვს ჩვენ მის წინაშე, რა გზა გამოვიარეთ დღემდე და ა.შ. თითოეული ეს საკითხი გვეხმარება გავიაზროთ ჩვენი როლი, პირველ რიგში, ზოგადად, სამყაროში და შემდეგ, საკუთრივ ჩვენს სამშობლოსა და ხალხში, მაშასადამე, ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტიკის მთავარი კონცეფცია სწორედ ეროვნულ თვითშეგნებას უკავშირდება. ქართული საზოგადოების არაერთ ნაკლს დაუფარავად წარმოაჩენს ავტორი, წერს კორუფციაზე, დარღვეულ კანონებზე, სოციალურ დაპირისპირებებზე და დაურთავს, რომ მოყვარეს უმცირესი ნაკლიც არ უნდა დაუმალო, როგორც ამას ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ,,მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე“. [25]

შეუძლებელია მწერალი, მით უმეტეს, ის, ვინც პუბლიცისტურ ნაშრომებსაც წერს, გაექცეს პოლიტიკურ კონტექსტს თავის ტექსტებში, ვინაიდან, ის გარემო, რომელშიც ყალიბდება ავტორი, გარდამტეხ ცვლილებებს იწვევს მის მსოფლმხედველობაში.

[25] (ჭავჭავაძე)

შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ პოლიტიკური საკითხები ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტიკაშიც მკაფიოდ აისახა. ამას ერლომ ახვლედიანი გვერდს ვერც აუვლიდა, როგორ უნდა ისაუბრო ეროვნულ თვითმყოფადობაზე, ქვეყნის მშენებლობასა და სხვა სახელმწიფოებრივ საკითხებზე, თუ სახელმწიფოს წარსულსა და აწმყოს არ შეეხე. ამ ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, კარგად ჩანს, რუსეთის, ჩვენი საუკუნოვანი მტრის, ბუნება და მისი მტრობის შეფარვითი ხასიათი. ავტორი ნათელს ჰფენს, რამდენად ფასადურია ის მსგავსებები, რაც ჩვენ შორის არსებობს, მაგალითად, ერთმორწმუნეობა. ეს მართლმადიდებლობა ისეთივე ნიღაბია, როგორიც იყო სსრ კავშირის უძლეველობა, რადგან ქრისტიანობა და დაუსრულებელი სისხლისღვრა, ხალხის ,,გამოხვრა" კარდინალურად შეუთავსებელია ერთმანეთთან და ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ეკლესია ჯვართამაღლების დღეს არ იზეიმებს ქალაქის დაცემასა და გაუბედურებული, დანაწევრებული ოჯახების სიმრავლეს. აღნიშნული საკითხი თანამედროვე საქართველოსთვისაც მეტად ნაცნობია. პოლიტიკურ კონტექსტში, ასევე, განიხილავს საქართველოს მიერ ახლადმოპოვებულ დამოუკიდებლობას და დემოკრატიის ე.წ. მცდელობას. ფილიპ ჩარლზ შმიტერი წერდა, რომ ,,ახალბედა დემოკრატიების სწრაფვა - გადმოიღონ ხნიერი ლიბერალური დემოკრატიების ნორმებისა და ინსტიტუტების ასლები - სრულებითაც არ იძლევა წარმატების გარანტიას",[26] რასაც ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტიკაც კარგად აჩვენებს ჩვენი ქვეყნის მაგალითზე - მმართველობის ცვლილებამ და თავისუფლებამ თვითგამორკვევა გვაიძულა, რაც ჩვენთვის დღემდე რთულ ამოცანად რჩება.

ერლომ ახვლედიანის წერის სტილზე დღემდე ბევრს წერენ ავტორები, მისი თავმდაბლობა და კეთილი ბუნება კვალად ატყვია მის ტექსტებსაც, მიუხედავად ამისა, თხრობა მაინც პირდაპირი და გულწრფელია, მორიდებისა და შელამაზების გარეშე: ,,მისი სიბრძნე ღრმა იყო, მაგრამ არ იყო მძიმე - სიმსუბუქე, აზროვნებისა თუ აღსაწერი გარემოს პარადოქსულობა, მის მიერ გამოგონილი „საფირმო" თამაშის წესები ამ სიბრძნეს უცნაურად ხელშესახებს ხდიდა".[27] მის პუბლიცისტურ ტექსტებში ნაკლებად ვხვდებით მეტაფორებს, ის შედარებას უფრო მიმართავს, ვინაიდან, ამგვარად, უფრო ცხადად

[26] (შმიტერი, 2017)
[27] (იათაშვილი, 2015)

წარმოაჩენს სათქმელს. ხშირად იყენებს იგავებს პროლოგად, თუმცა ეს ხელს არ უშლის იმაში, რომ წერილების ზედაპირზე ამოიტანოს ყველა მთავარი სათქმელი და ყველა მკითხველისთვის გასაგები გახადოს. ეს, ცხადია, არ გულისხმობს იმას, რომ ერლომ ახვლედიანის პუბლიცისტიკას გამოცდილიცა და ახალბედა მკითხველიც ერთნაირი სიღრმით გაიაზრებს და აღიქვამს, თუმცა, თუ არა თანაზომიერად, მისი სათქმელი მეტნაკლებად მაინც ყველამდე მიდის. აკაკი ბაქრაძე თვლიდა, რომ ქართულ მწერლობაში სამგვარი სიცილი ისმის: ,,პირველი - ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის, მეორე - დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის, მესამე - ნოდარ დუმბაძის. როცა ილია და მიხეილ ჯავახიშვილი ხარხარებენ, გაწნული სილის ტკაცუნი ისმის. მამხილებელი ძალა სირცხვილით გწვავს და გდაგავს. როცა დავით კლდიაშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე იღიმებიან, სევდა გეუფლებათ და ადამიანის მიმართ თანალმობის სურვილი გიჩნდებათ. როცა ნოდარ დუმბაძე იცინის, მხიარულების ძალით ივსებით".[28] ამ სამიდან ერლომ ახვლედიანის სიცილიც, ალბათ დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის ღიმილს ემსგავსება, ვინაიდან, ის ილიაზე ნაკლები ,,სიმკაცრით" წერს და ამასთან, ადამიანის ყველა მანკიერებას უძებნის ახსნას და ებრალება კიდეც ის ამ მანკიერებათა გამო.

საქართველო დღეს და ერლომ ახვლედიანი გუშინ

უნდათ თუ არა რუსებს ომი და გვინდა თუ არა ქართველებს?

უნდათ თუ არა რუსებს ომი, ეს შეკითხვა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში დაისვა და ერლომ ახვლედიანმა თავის წერილში გვიპასუხა, რომ არ უნდათ, თუ დასახულ მიზანს ომის გარეშე მიაღწევენ. ჩვენს რეალობაში, რუსული გავლენებითა და პროპაგანდით, ეს შეკითხვა, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ასე ფორმირდა: ,,აბა, ომი გინდათ?" რუსეთ-უკრაინის ომზე კომენტირებისას მოქმედი ხელისუფლება დღემდე სპეკულირებს ამ და სხვა მსგავსი ფრაზებით: ,,საქართველო არ გახდება მხარე". შესაბამისად, თითქოს, გაურკვეველი რჩება მათი პოზიცია, მაგრამ შეიძლება სწორედ ეს გამოხატავდეს მათ პოლიტიკურ იდენტობას. ეს ნარატივი მიემართება ადამიანისთვის ყველაზე ფუნდამენტურ მოთხოვნას - მშვიდობას. თომას ჰობსის აზრით, ადამიანთა მორჩილება ხელისუფლების მიმართ სწორედ ამ მოთხოვნითაა განპირობებული, ვინაიდან, ომისა და

[28] (ბაქრაძე, 2016)

მშვიდობის შეპირისპირებას შორის, ადამიანის პირველი არჩევანი ყოველთვის მშვიდობაა. ,,ჩვენს სამეზობლოში სისხლიანი ომი მიმდინარეობს და ადამიანებს ეშინიათ, რომ რაღაც ასეთი ჩვენთანაც შეიძლება მოხდეს, ისინი პრიორიტეტს მშვიდობის შენარჩუნებას ანიჭებენ. ხელისუფლება ოსტატურად მანიპულირებს ამ გრძნობით: მან თავი წარმოადგინა „მშვიდობის პარტიად", რომლის ყველა კრიტიკოსი, ავტომატურად ომის მომხრე გამოდის",[29] - წერს პოლიტოლოგი გია ნოდია. თუ გავითვალისწინებთ ბოლოდროინდელ მოვლენებს, რაც გულისხმობს რუსების აქტიურ შემოსვლას საქართველოში, რუსული კანონის შემოღების მცდელობას, ტენდენციებსა და დაკვეთას მომსახურების სფეროში (მაგალითად, რუსულ ენაზე მომსახურება), ალბათ, დარწმუნებით ვეღარ ვიტყვით, რომ მშვიდობა შევინარჩუნეთ. და იმ შემთხვევაში, როცა რუსებს არ უნდათ ომი, თუ მიზანს მის გარეშე მიაღწევენ და ქართველებსაც არ გვინდა ომი, თვალს დავხუჭავთ და თავს დავხრით მშვიდობის მიღწევის მიზნით, ვინ უფრო ახლოა მიზანთან, ვინ არ მიიღებს ომს და ვინ რას მიიღებს ამით?

რამდენჯერ ,,ვქმნით ახალ პარტიას"?

მრავალპარტიულობაზე ერლომ ახვლედიანი ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდა, როცა პარტიათა რაოდენობა 80-ს აღემატებოდა, დღეს კი, როცა 200-ზე მეტი პარტიაა რეგისტრირებული, ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია. და რა არის ამაში ცუდი, სწორედ ეს არაა ბოლო წლებში ქართველი ხალხის დაკვეთაც ხელისუფლების მიმართ? ცუდი ისაა, რომ, ამდენი პოლიტიკური ჯგუფის არსებობის მიუხედავად, ხელისუფლების დაკომპლექტება სხვადასხვა პარტიის წევრებით ჯერაც ვერ მოხერხდა, მაშასადამე, პარტიათა სიმრავლე მხოლოდ პოლარიზაციას უწყობს ხელს. ,,პოლიტიკოსებისთვის რთულია იდეოლოგიური ნიშნით გაერთიანება, რადგან მათ თითქმის არ იციან რაზე უნდა ისაუბრონ, არ იციან „გამმიჯნავი ხაზების" არსებობა, არ იციან ვისზე უნდა კონცენტრირდნენ და რა ტიპის ამომრჩეველი უნდა მიიზიდონ. მათ მხოლოდ არჩევნებში გამარჯვება აქვთ მიზნად. რა იგებს არჩევნებს? მეტი ხმა. მეტ ხმას კი მეტი მოქალაქე სჭირდება. შესაბამისად მათი დაპირებები და წინასაარჩევნო კამპანიები გათვლილია ყველაზე, განურჩევლად სოციალური ჯგუფისა, ასაკისა, საქმიანობისა, ინტერესებისა და ა.შ. ნებისმიერ პარტიას სურს, რომ დააკმაყოფილოს

[29] (ნოდია, 2023)

ნებისმიერი“,[30] - წერს დავით ჩხაიძე. ამ თემის შესახებ, განვიხილოთ რამდენიმე ყველაზე პოპულარული და მრავალამომრჩევლიანი პარტიის საარჩევნო პროგრამები:

1. **ქართული ოცნება[31]**

- ✓ დემოკრატიული განვითარება
- ✓ ეკონომიკური განვითარება
- ✓ სოციალური განათლება (განათლება, ჯანდაცვა)
- ✓ საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა

2. **ერთიანი ნაციონალური მოძრაობა[32]**

- ✓ ჯანდაცვა
- ✓ ეკონომიკა
- ✓ განათლება
- ✓ სასამართლო
- ✓ საგარეო პოლიტიკა
- ✓ უსაფრთხოება

3. **ევროპული საქართველო[33]**

- ✓ ეკონომიკა
- ✓ განათლება
- ✓ ჯანდაცვა
- ✓ ტერიტორიული მთლიანობა
- ✓ საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა
- ✓ საქართველო და ევროკავშირი

4. **ლელო საქართველოსთვის[34]**

- ✓ სამუშაო ადგილები და ხელფასების ზრდა (ეკონომიკა)
- ✓ საყოველთაო ჯანდაცვა
- ✓ განათლება

---

[30] (ჩხაიძე, 2019)
[31] (საქართველო, 2020)
[32] (მოძრაობა, 2020)
[33] (საქართველო ე. , 2020)
[34] (ბიძინაშვილი, 2020)

- ✓ პროდასავლური ვექტორი
- ✓ სასამართლო სისტემა
- ✓ ძალადობასთან ბრძოლა

ეს დაკვირვება ცხადყოფს, რომ პარტიათა საარჩევნო პროგრამები ძალიან ჰგავს ერთმანეთს და თუ ყველა მათგანის მიზანია ეკონომიკის, განათლების, უსაფრთხოების ხელშეწყობა, თუ ყველა მათგანი ირჩევს პროდასავლურ ვექტორს და სურს დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, კავშირებში გაწევრიანება, მაშინ, როგორ ვერ გამოინახა საერთო ენა მათ შორის წლების განმავლობაში? ეს მდგომარეობა უფრო ჰგავს ,,ამბიციების დოღს", როგორც ამას ერლომ ახვლედიანი უწოდებს, ვიდრე ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვას.

6. დასკვნა

ჩვენი კვლევის მთავარი მიზანი იყო, გამოგვეყო ძირითადი საკითხები ერლომ ახვლედიანის პუბლიცისკიტაში და გვეჩვენებინა, როგორც მისი მთავარი კონცეფცია, ასევე, შინაარსის გამოხატვის ფორმები და კავშირი საქართველოს დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობასა და იმდროინდელს შორის. ავტორმა გამოიარა ისტორიის ორი მნიშვნელოვანი ეტაპი: საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი საქართველო და ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობა, რაც, რა თქმა უნდა, აისახა მის შემოქმედებაზე. კვლევამ აჩვენა, რომ მწერალი ყურადღებას ამახვილებს, როგორც წარსულში მომხდარ, ასევე აწმყოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე; მას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ღირებულებები, რომლებითაც ადამიანი გამოავლენს საკუთარ მოქალაქეობრივ თვითშეგნებასა თუ პატრიოტიზმს და ამასთან, მიუხედავად ორიენტირის დაკარგვისა და იმ გაურკვევლობისა, რომელსაც საქართველოსთან ერთად, თავადაც გრძნობს, ჩვენი იდენტობის მთავარ ბურჯად მაინც სამ საუნჯეს: ენას, მამულსა და სარწმუნოებას მოიაზრებს. ავტორი თავის პუბლიკაციებში მორიდებით, მაგრამ დაუღალავად ცდილობს, შეახსენოს საზოგადოებას ის ფასეულობები, რომლებიც ეროვნულ თვითმყოფადობას უკავშირდება. დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევამ გამოკვეთა ბევრი მსგავსება და საერთო მახასიათებლები იმ თემებთან, რომლებსაც ერლომ ახვლედიანი აღწერს თავის პუბლიცისტურ ნაშრომებში. მაშასადამე, ისტორია ნამდვილად მეორდება, ამის უკვე საუკუნეების განმავლობაში ასახავს ქართული

პუბლიცისტიკა; საბჭოთაკავშირგამოვლილი საქართველო კი ჯერ კიდევ ცდილობს თვითგამორკვევას და ჩვენც ისევ ვეძებთ სამშობლოს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ორიენტირი პროევროპელობასა და პრორუსობას შორის, საბედნიეროდ, პროევროპელობაზე შეჩერდა.

ბიბლიოგრაფია

Entman, R. M. (1993). Framing: Toward Clarification of a Fractured Paradigm. *Journal of Communication*, 51-58.

ახვლედიანი, ე. (2003). *ძველი და ახალი.* თბილისი: დილის გაზეთი.

ბაქრაძე, ა. (2016). *პუბლიცისტიკა.* თბილისი: ჰერა.

(თ. გ.). *ბიოგრაფიული ლექსიკონი.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ბიძინაშვილი, ნ. (2020). *რას ჰპირდება "ლელო" ამომრჩეველს .* თბილისი: netgazeti.ge.

იათაშვილი, შ. (2015). *ერლომ ახვლედიანის არქივი ნელ-ნელა იხსნება.* თბილისი: რადიოთავისუფლება.

მენაბდე, მ. (2019). *მეიგავე ერლომი.* თბილისი: mastsavlebeli.ge.

მოძრაობა, ე. ნ. (2020). *მდიდარი საქართველო ძლიერი ოჯახი.* თბილისი.

ნოდია, გ. (2023). *გვინდა თუ არა ომი?* თბილისი: რადიოთავისუფლება.

რატიანი, ი. (თ. გ.). *საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურა.* თბილისი: ქართული ლიტერატურა.

საქართველო, ე. (2020). *ევროპული საქართველოს 2020 წლის საარჩევნო პროგრამა .* თბილისი.

საქართველო, ქ. ო.-დ. (2020). *საარჩევნო პროგრამა 2020.* თბილისი.

შმიტერი, ფ. კ. (2017). *დემოკრატიის დილემები და საფრთხეები.* თბილისი.

ჩხაიძე, დ. (2019). *რამდენი/როგორი პარტია გვჭირდება?* 2019: რადიო თავისუფლება.

წულაძე, ლ. (2020). სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები. წ. ლია-ში, *სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები* (გვ. 222-223). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჭავჭავაძე, ი. (თ. გ.). *კაცია-ადამიანი?!*